სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/89

ქ. თბილისი

6 ივნისი 2023 წ.

2022-2023 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტების ინდივიდუალურ საგანმანათლებლო გეგმებზე გადაყვანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის თამარ წერეთლის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 06 ივნისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. 2022-2023 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრში ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე შეიძლება გადაყვანილ იქნეს შემდეგი კატეგორიის სტუდენტი:
   ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე;
   ბ) ჯანმრთელობის პრობლემის მქონე, ფეხმძიმე ან მცირეწლოვანი ბავშვის დედა;
   გ) საქართველოს სახელით ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო, ევროპის ჩემპიონატის და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებების მონაწილე, სტუ-ს ნაკრების წევრი;

დ) სტუ-ს შემოქმედებით ან სახელოვნებო წრეში (თეატრი, კაპელა, ქორეოგრაფიული ანსამბლი, კვარტეტი, და ა.შ.) გაერთიანებული სტუდენტი, რეკომენდებული სტუდენტური სერვისების, კულტურის და სპორტის დეპარტამენტის მიერ;

ე) საწარმოში, როგორც წესი, პროფილით/სპეციალობით ან სხვა სტრუქტურაში (მუნიციპალიტეტში/სამინისტროში/საჯარო სამართლის იურიდიულ პირში) დასაქმებული, სტუ-ს რეკომენდაციით სტაჟირებაზე მყოფი, მათ შორის, ბაკალავრიატის სწავლების მე-3 ან მე-4 წლის სტუდენტი;

ვ) სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) და ფაკულტეტების საბჭოს წევრი სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელი;

ზ) სტუდენტი, რომლის საგანმანათლებლო პროგრამა შეიცვალა.

2. ფაკულტეტის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, როგორც გამონაკლისი, აკადემიური საბჭოს დადგენილებით, პერსონალურად შესაძლებელია სხვა კატეგორიის სტუდენტის გადაყვანა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე.
3. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე გადაყვანის მიზნით სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს განცხადება და სათანადო დოკუმენტაცია (ჯანმრთელობის ცნობა - ფორმა №100, მოწმობა, სერტიფიკატი, შესაბამისი ფედერაციის/კლუბის/სტუდიის უფლებამოსილი პირის შუამდგომლობა და ა. შ.; დასაქმებულმა - სამსახურის ცნობა). განცხადება გადაეცემა ფაკულტეტის დეკანს, რომელიც უზუნველყოფს მის განხილვას ფაკულტეტის საბჭოზე; დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი გადაეცემა სტუ-ს შიდა აუდიტის სამსახურსა და სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტს აკადემიურ საბჭოზე გასატანად.
4. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი ი. კუტუბიძე